ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 24 (1359)

21-27 ივლისი, 1993 წ.

მცირე სიუჟეტები დიდი ტრაგედიის ფონზე

(რეპორტაჟი სოხუმიდან)

ნოდარ გრიგალაშვილი

ომში გატარებული თითოეული დღე მშვიდობიანი ცხოვრების მთელი წლის ტოლფასია. აფხაზეთი კი უკვე 11 თვეა რაც ომის ასპარეზად იქცა. რამდენიმე სიცოცხლე უნდა აჩუქოთ ადამიანს, რომ იმდენ ელდასა და ტკივილს გაუძლოს, რაც სოხუმელებმა ამ 11 თვის მანძილზე გადაიტანეს.



არადა, 40—45 წუთია საჭირო, იქედან აქ, თბილისში რომ მოხვდეთ საჰაერო ხომალდით. ომსა და მშვიდობას 40—45 წუთი ჰყოფს.

ბევრმა მამაკაცმა აიგუდანაბადავა კიდეც, მაგრამ ჭეშმარიტი სოხუმელები არ გარბიან, ყოველდღე სიკვდილს ჩაჰყურებენ თვალებში და მაინც არ გარბიან, რადგან იციან, გაქცევის შემთხვევაში არა მხოლოდ მათთვის, მათი შვილებისა და შვილიშვილებისათვისაც შეიძლება დაიკარგოს აფხაზეთი, ჩვენი სამშობლოს უმშვენიერესი კუთხეთაგანი. იქ სოხუმში, დავითისა და ცოტნეს ნამდვილი შათმომავალნი დააბიჯებენ...

ბარგის შენახვა მხოლოდ მანეთებზე?

9 ივლისს, დილით სოხუმში მივემგზავრებით, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი ზაურ კალანდია, საქართველოს შემნახველი ბანკის მმართველის მოადგილე მალხაზ ხულორდავა და ამ სტრიქონების ავტორი.

მეომარი ქალაქის მოსახლეობას ჩვენ რომ სარჩენად არ დავემატოთ, ზურგჩანთით რამდენიმე დღის საკვები მიგვაქვს.

თვითმფრინავის გასვლამდე ეს ზურგჩანთა შემნახველ საკანში ჩავაბარეთ. იქ, საკანში, ერთი ფაშფაშა რუსის დედაკაცი იჯდა და გადასახადის მილების დროს თავი მოიკლა, გინდათ თუ არა, 250 რუსული მანეთი გადამიხადეთ და არა კუპონიო... თან კი არ გვთხოვდა, ითხოვდა დაჟინებით...

მართალია, ჩვენგან რუსული მანეთის ნაცვლად რუსული ლექსიკის წამყვანი ფრაზები მიიღო, მაგრამ მაინც უპრიანი იქნება, აეროპორტის ხელმძღვანელობა თუ გადახედავს ყველაზე სარფიან ადგილებზე რა ჯიშისა და ჯილაგის ხალხი უზის...

დუბაი და სოხუმი

ისე მოხდა, რომ ჩვენი თვითმფრინავის სიახლოვეს დუბაიში წამსვლელი საჰაერო ხომალდი ჩამოდგა.

ჩვენს თვითმფრინავში ავტომატგადაკიდებული, ბრძოლის ველზე მიმავალი ბიჭები ამოდიოდნენ, იმ ხომალდში კი მხარზეტყავჩანთაგადაგდებული ბიჭები.

სწორად უთქვამთ, წუთისოფელი ზოგისთვის დედაა, ზოგისთვისაც დედინაცვალიო... არასწორი ის არის, გერის როლში რომ ყოველთვის ცხელი გული და პატიოსნებაა ჩავარდნილი, როგორც ზღაპრებში, ისე ცხოვრებაში...

ჯარისკაცის მამა

ტყვია-წამლით სავსე ყუთებზე ვზივართ და მივფრინავთ. საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარეს ზაზა სიხარულიძეს ჰუმანიტარული დახმარება მოაქვს. ერთი შუახნის კაცი, როგორც მერე მითხრა გვარად კილაძე, მეომრებს ეკითხება: სოხუმში რომ ჩავალთ, ჰესზე როგორ მოვხვდებიო.

ჰესის ხსენებაზე ყურები ვცქვიტე.

ჰესზე რა გინდათ, იქ რა დაგრჩენიათ-მეთქი.

ჩემი ბიჭი იცავს იმ ჰესსო. ოჯახში აღარ დამიდგა გული, აღარც ქალებმა გამაჩერეს, ჩადი, ბიჭს ჩახედეო. დედამისი სახლში ადგილს ვეღარ პოულობს, მეც ავდექი და წამოვედი. ბიჭის მეთაურს შევეხვეწები, მეც იქ დამტოვოს, კარტოგრაფია ვიცი კარგად, მეომრებს გამოვადგები, მუხლიც მიჭრის და ბრძოლაც შემიძლია. ჩემი შვილის გვერდით უფრო მშვიდად ვიგრძნობ თავსო.

ტანში გამცრა.

— თქვენი შვილის მეთაური მამულაშვილი ხომ არ არისმეთქი, — ვკითხე.

— კი, კი! მამულაშვილი, ზურა, ასე მოიწერა ბიჭმა, იცნობთ?

გაბრწყინებული სახით შემოხედა კაცმა, დაბნეულმა მოულოდნელობიდ, რომ სამოქალაქო პირს იქაური რაღაცეები მცოდნია. ფორმიან ბიჭებს თავი ანება და შინაურულად ჩამეძია.



— ჰო, როგორი კაცია, მართლა იცნობ?

— ჩემი მეგობარია, დიდებული პიროვნებაა — ვპასუხობ ჯარისკაცის მამას და თვალს ვარიდებ, გორგალი ყელში მაქვს გაჩხერილი, ცოტაც და ხმა გამიტყდება... ვერაფერს ამჩნევს. გახარებული ლაპარაკობს. ძალიან აქებენ, სხვებმაც ეგრე მითხრესო.

დრო ვიხელთე და კილაძეს გავეცალე.

მალხაზი და ზაური გაფითრებულნი არიან...

საქმე ის იყო, რომ რამდენიმე წუთის წინ მათ მოვუყევი ზურაბ მამულაშვილისა და მისი რაზმის უბედური ბედის შესახებ. ზურა თავის თხუთმეტი წლის ბიჭთან და რაზმელებთან ერთად ჰესს იცავდა, აფხაზებს რამდენიმე დღე ალყაში ჰყავდათ და ტყვედ აუყვანიათ.

იმ თვითმფრინავში სამი კაცი ვისხედით, რომელთაც კილაძის შვილის ამბავი ვიცოდით, როგორი სათქმელი იყო შვილის კვალს დადევნებული მამისთვის, შენი ბიჭი ან ტყვეა, ან დახვრეტილიო. ჯარისკაცის მამას მისამართი მივეცი და სოხუმში დავცილდი, თბილისს რომ ჩამოხვალ შვილის ამბავი გამაგებინე-მეთქი.

სოხუმში კი მამულაშვილის შესახებ მხოლოდ ის შევიტყვე, რომ შვილის გარდა მისი 16 რაზმელი გუდაუთაში წაეყვანათ. თუ მცირეწლოვან ყმაწვილს მაინც არ გაანთავისუფლებენ, ამისთვისაც დასჯით ღმერთი აფხაზებს.

ჰოი, დედანო...

სოხუმის აეროპორტიდან ქალაქამდე კარგა გრძელი გზაა. ერთი ახალგაზრდა მანდილოსანი დაგვემგზავრა, რომელიც ძალზედ გახარებული იყო — შვილები თბილისს გავისტუმრეო. ჩემს კითხვაზე, რატომ თავადაც არ გაეცლებოდა ფრონტის ხაზად ქცეულ ქალაქს, მანდილოსანმა მიპასუხა — ქმარს ვერ დავტოვებო...

ასეთი ქალები მერმე ბევრ ვნახე სოხუმში.

შესანიშნავი სოხუმელი ვაჟკაცის ანატოლი ფაცაციას ოჯახში ერთი ქალი, ქადაგიშვილი-ჭავჭავაძისა, გვეხვეწებოდა, მთავრობაში ერთი ავტომატი გამიხერხეთ, და კაცებზე უკეთ ვიბრძოლებო.

ვუსმენდი ამ ქალებს და ვფიქრობდი — სად არის, ღმერთო, სამართალი. ამ მანდილოსნების სიკვდილი სიცოცხლის ბედს ნუთუ ის ქვეყანა უნდა სწყვეტდეს, რომელი ქვეყნის ქალებიც თავის ბოსიაკ ქმრებს სიცოცხლეში ცხვირ-პირში ურახუნებენ, სიკვდილის შემდეგ კი სამ დღესაც არ გლოვობენ — მეთქი...

ზარანდიას ოინები

აეროპორტიდან სოხუმის

გაგრძელება მე-2 გვ.

მისადგომებამდე რამდენიმე ტრანსპორტი გამოვიცვალეთ. ქალაქს ხაზირგულიანი ტრაქტორით მივადექით და შემდეგ გზას ფეხით გავუყევით. ჰაერი მთლიანად დენთის სუნითაა გაჟღენთილი. დანგრეულ-გაპარტახებული სახლებიდან აქა-იქ ჯერ კიდევ ხრჩოლავს ბოლი, როგორც ჩანს, აფხაზთა ახალი „ნამუშევარია"...

კოკისპირულმა წვიმამ წამოუშინა, ციდან თითქოს ჩაფებით ღვრიან წყალს — ომის ხანძარი რომ ცოტა გაანელონ.

მოქალაქეებს გარეთ ტაშტები, თუნგები, კასრები გამოუტანიათ და წვიმის წყალს იმარაგებენ.

თავიან-ფეხებიანად გალუმპულები მივადექით გენო კალანდიას ბინას. ბატონი გენო მთელი ცხოვრება თბილისიდან ჩასული კულტურის მუშაკების მოულოდნელი მასპინძელი იყო. დღესაც ასეა. ჩვენს დანახვაზე განსაკუთრებით გაიხარა. ძმის დანახვა მეომარ ქალაქში დარჩენილი კაცისათვის რა იქნება, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, მაგრამ მასპინძელს სხვა მიზეზის გამოც აუჩუყდა გული. წინა კოშმარული ღამის შემდეგ, უეცრად შინაურებთან იგრძნო თავი.. არა, მტრისგან დაბომბვას არ ვგულისხმობ, ბომბების ცვენას სოხუმელები უკვე ერთგვარი სიმშვიდითა და გულგრილობითაც კი ხვდებიან, იმდენად ყოფით მოვლენად იქცა...

წინა ღამით აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს, საქართველოს პარლამენტის წევრს, პოეტ გენო კალანდიას „მოყვარე" დასხმია თავს — ქალაქ სოხუმის კომენდანტი ვინმე ზარანდია.

სახელმწიფოს მეთაურის თანდასწრებით, ერთ-ერთ თათბირზე გენოს ქალაქის კომენდატურის მუშაობა გაუკრიტიკებია. კრიტიკის ობიექტმაც არ დააყოვნა და შუაღამით ავტომატმომარჯვებული, თანმხლებ შეიარაღებულ პირთან ერთად მიადგა კალანდიას ოჯახს.

გენო შინ მარტო იყო. სტუმარი რომ ავი ზრახვით მოსულს ჰგავდა, მისი ხმის გაგონებისთანავე ვიგრძენი, მაგრამ ვერც ის ვიკადრე კარი არ გამეღოო...

შებრძანდა ეს ჯეელი ზარანდია პოეტის ოჯახში და დედის გინებით აიკლო ...ქაურობა (იგინებოდა რუსულად, რადგან ქართული არ იცის, სხვათა შორის ქართული არ იცის ქალაქის მერმა გაბესკირიამაც, რუსია ნავსადგურის კომენდანტიც)...

ომი რომ არ იყოს, იქნებ ამ ...არემოებისათვის არც გამესვა ხაზი, მაგრამ რუსულ ზნე-ჩვეულებებზე აღზრდილი ხალხი რუსეთის მიერ გამოუცხადებელ ომში რა გულით მუშაკობენ, ეშმაკმა უწყის.

ერთი სიტყვით, უიარაღო პოეტს ქალაქის კომენდანტმა არც სიტყვიერად დააკლო რამ და ხელიც აღმართა მასზედ.

ქალაქის კომენდანტს რომ ასე ეადვილება ცნობილი პოეტისა და პარლამენტის წევრის შეურაცხყოფა, ადვილი წარმოსადგენია რიგით მოქალაქეებს რა დღეში ჩააგდებს იგი.

არ არის გამორიცხული, ზარანდიამ, იმის გამო, რომ პოეტის დაშინება ვერ მოახერხა და ეს ამბავი გახმაურდა, ეხლაღა იფიქროს შურისძიებაზე, მაგრამ მან უნდა იცოდეს, თუ პოეტ გენო კალანდიას, სოხუმელების იმედად ფეხს რომ არ იცვლის ქალაქიდან, თმის ღერი ჩამოვარდება, ამით საკუთარ თავსაც გამოუტანს განაჩენს.

ასეთი შემართებითა და გაგულისებით სასურველია იგი მტერს ებრძოლოს. ასეთი შემართებითა და გაგულისებით, სასურველია მან ქალაქი დაიცვას. გაზეთის საშუალებით ვერ მივუთითებ სად, რომელ პოსტებზეა ქაოსი. სად, რომელ უწყებებში შეხვალთ და გამოხვალთ ისე, რომ კაცი არ გკითხავს, ვინ ხარ, საიდან... „მოყვრად მოსულხარ, თუ მოხველ მტრადაო".

ესთეტიური უდარდელობა

ერთმა ჩვენსავით მცირერიცხოვანი ერის წარმომადგენელმა ისტორიკოსმა საქართველოს ისტორიის მოკლე კურსი დაწერა.

უცხოელს თავისი ერის პრობლემებიდან გამომდინარე, აინტერესებდა, თუ რამ გადაარჩინა მუდამ მრავალრიცხოვანი მტრებით გარშემორტყმული საქართველო. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მას ღრმად ჩაუხედავს ჩვენი ისტორიის ანალებში და საკმაოდ ორიგინალური, მოულოდნელი დასკვნა აქვს გაკეთებული, რომელიც დაახლოებით ასეა ფორმულირებული:

ქართველები ესთეტიურმა უდარდელობამ გადაარჩინაო.

სოხუმელებს ომმა მასპინძლობის წესსა და ადათზე ხელი ვერ აალებინათ...

თითქმის ძალით შევყავართ სახლში ანატოლი ფაცაციას. ტაბლასთან სხედან ზურაბ შენგელია, ლუდა აბსანძე.

ღამეა. ფანჩატურში ლამპის შუქზე ვსვამთ.

ქალები კუთხეში მიმჯდარან და ქსოვენ..

გარეთ ბომბები ცვივა.

შეჩვეული ყური ხმაზე არჩევს — ეს ჩვენებმა ისროლეს, ესეც ჩვენებმა. ეს იმათი გრადია — ამბობენ ქალები და ჩვენ „გვაცნობიერებენ"...

ვსვამთ ჩვენი გამარჯვების სადღეგრძელოს.

არ არის გამორიცხული გუმისთიდან ნასროლი გრადი პირდაპირ თავში დაგვეცეს. ვსვამთ და ვსაუბრობთ. თითქოს არაფერი ხდება...

მახსენდება უცხოელი ისტორიკოსის დასკვნა ჩვენი ესთეტიური უდარდელობის შესახებ...

სოხუმი ღამით

შებინდებისას ქალაქში იდილიური სიმშვიდე წვება. ზღვის შრიალი და სასიამოვნო სიგრილე დროებით გავიწყებს, რომ აქ, ყურისძირში მტერია ჩასაფრებული და ქალაქის მორიგი დაბომბვისათვის ემზადება.

დიდიხანია ქალაქს სინათლე არ აქვს. ჩაკუნაპეტებულ ქუჩებში, როგორც იტყვიან, თითს თვალთან ვერ მიიტან.

ღამის მყუდროებას რამდენიმე წუთით არღვევს ტანკის გრუხუნი, ჩაივლის და ყველაფერს ისევ სიჩუმე ეუფლება

აქა-იქ შეიძლება ცისფერი შუქი დალანდოთ. ეს ტელევიზორია. მოქალაქეებს გარეთ გამოუტანიათ, ერთად შექუჩებულან და დიდი მანქანის დიზელის მეოხებით ტელევიზორი აუმუშავებიათ.

თბილისისა და მოსკოვის საინფორმაციო გადაცემების დროს სოხუმელები მოუთმენლად ელიან.

მათ აინტერესებთ ერთადერთი — რა ხდება აფხაზეთში, როგორ ვითარდება მოვლენები და საბრძოლო მოქმედებები.

დიახ, რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, სოხუმელი კაცი თბილისიდან ელოდება ინფორმაციას, რათა შეიტყოს იქვე, ორი ნაბიჯის იქით მდებარე შრომისა და ახალშენის, გუმისთის ბრძოლების ამბები. უფრო მეტიც, სოხუმის თავში რა ხდება, სოხუმის ბოლოს მცხოვრები უფრო გვიან იგებს ამას, ვიდრე თბილისი, რადგან ქალაქი სრულ ინფორმაციულ ვაკუუმშია. უსინათლობის გამო არ არის რადიო, არ არის ტელევიზია. გაზეთები ჩადის, მაგრამ გაზეთი მაინც გუშინდელი დღეა, მეომარ ქალაქში კი ყოველი საათი და წუთია ცვალებადი და მნიშვნელოვანი.

მოქალაქენი ნელ-ნელა სახლებში შეიყუჟებიან. გარეთ მხოლოდ ავტომატმომარჯვებული პატრული დადის. ყოველ ქუჩას თავისი მორიგეები ჰყავს და დილამდე, ვიდრე ცვლას მიიღებენ, განსაზღვრულ ადგილებზე დგანან.

ის-ისაა კაცმა თვალი უნდა მოატყუო, რომ ერთბაშად ირღვევა საყდრული მყუდროება და იწყება ქალაქის განუწყვეტელი, პერმანენტული დაბომბვა. ირთვება გამაფრთხილებელი საყვირი, რომელიც ბუნკერებისკენ უხმობს ქალაქის მცხოვრებთ.

გენო კალანდია მე-7 სართულზე ცხოვრობს. ლიფტი არ მუშაობს. საყვირი კი ყოველ ღამე 5—6-ჯერ მაინც გახსენებს თავს.

რაღა ამ კიბეებზე სირბილს მოვუკვლივართ და რაღა ბომბს, ვხუმრობთ და „არხეინად" ვიძინებთ...

ქალაქის ინტენსიური დაბომბვა იწყება აგრეთვე გამთენიისას. 5—6 საათზე.

ყოველივე ამას თანდათან ისე მივეჩვიეთ, გრადების ბათქაბუთქი აღარც ძილში გვიშლიდა ხელს და აღარც ძილს გვიფრთხობდა...

თენდება მორიგი დილა, ჩვეულებრივად ამოანათებს სამყაროს მარადიული მორიგე-მზე, და გულგრილად გადმოჰყურებს კიდევ არაერთ დაობლებულ ოჯახს, კიდევ არაერთ გაციებულ გვამს, კიდევ არაერთ აწიოკებულ სახლკარს... კიდევ არაერთ ჩაფერფლილ შენობას, ჯერ კიდევ წუხელ ლამაზად რომ იყო წამომართული სოხუმის ცენტრში...

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი

კომუნისტები სათავისოდ ყველაფერს რომ კარგს აკეთებდნენ, კიდევ ერთხელ გარწმუნებთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შენობა. როგორც იტყვიან, ბარაბანს არ მოხვედრია იმდენი, რაც ამ შენობის თავზე „გრადი", „ჰაუბიცა" თუ „ვასილიუკი" დაეცა.

მრავალსართულიანი შენობა კი აქა-იქ შენგრეული, ფანჯრებჩალეწილი. სახურავშელანძღული მაინც დგას.

მინისტრთა კაბინეტი აქ მუშაობას აგრძელებს. მთავარია, შენობაში შესვლამდე, ან გამოსვლის დროს არ მოჰყვეთ დაბომბვაში, შიგ თუ შეაღწიე, მისი მყარი კედლები უკვე საიმედოდ გიცავს, თუ რა თქმა უნდა, პირდაპირ კაბინეტში არ შემოვარდა გრადი.

აფხაზეთის განათლების მინისტრის პოეტ ჯანო ჯანელიძის კაბინეტში ვართ. აქ თავს იყრიან მინისტრთა კაბინეტის წევრები, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები. აქვეა საქართველოს სამხედრო პროკურორი ბატონი ალექსანდრე შუშანაშვილი.

ვეცნობით მინისტრთა კაბინეტის წევრებს — ეს ამის მინისტრია, ეს იმის, ეს იმის და ა.შ.

ვხუმრობ — რამდენი მინისტრი უნდა გარჩინოთ ამ პატარა საქართველომ. რესპუბლიკის მრავალრიცხოვან პორტფელებს რომ თავი დავანებოთ, ნადარეიშვილს თავისი მინისტრები ჰყავს, არძინბას გუდაუთის მინისტრები. გამსახურდიას გროზნოს მინისტრები, აბაშიძეს ბათუმის მინისტრები, კულუმბეგოვს ცხინვალის მინისტრები. ომს რომ მოვიგებთ სუყველა უნდა გავაუქმოთ-მეთქი.

აფხაზეთის ტრანსპორტის მინისტრი ჯემალ შერვაშიძე იცინის და გულითადად მპასუხობს: ეს ომი დროზე მოგვაგებინა და ყველა სახელმწიფუკოები საქართველოში თავის მინისტრებიანად წყალს წაუღიაო.

ისტორიულად აფხაზი რომ ისეთივე ქართველია, როგორც იმერელი, კახელი, მეგრელი თუ სვანი ამის ცოცხალი მაგალითია თუნდაც ჯემალ შერვაშიძე ძმასთან, გიასთან ერთად თავი რომ გადაუდვია სოხუმის დასაცავად.

ხოლო აფსუები რომ ნამდვილი აფხაზები არ არიან და მართლა ადიღედან ჩამოთესლებული უცხო ტომია, ამის დასტურია მათი საქციელიც, მშობლიური ქალაქის ფერფლად ქცევა რომ განუზრახავთ.

კვლავ პირველ სიტყვას დავუბრუნდები.

მინისტრთა კაბინეტის წევრები ქალაქის დაცვის ორგანიზაციულ საკითხებზე მსჯელობენ. განათლების მინისტრიც, კონტროლის პალატის თავმჯდომარეც და ყველა სხვა მინისტრი თუ წარმოების ხელმძღვანელი აქ ახლა მხოლოდ ერთ საქმეს ემსახურება — მოქალაქეთა ორგანიზებას, უხვი პროვოკატორებისა და შემოჩაუჩენი აგენტების მხილებას და დაკავებას.

სახალხო რაზმელთა მეთაური ბატონი გოგი მეშველიანი, რომელიც განკარგულებებს იძლევა და ხმაც რომ ხელს უწყობდეს, ისეა შემართული, მთავარსარდლად დამადებული გეგონებათ.

საერთო ფერხულში ჩვენც ჩავებით. საქართველოს შემნახველი ბანკის თავმჯდომარის მოადგილემ ბატონმა მალხაზ ხულორდავამ ბანკის გამგეობის სახელით განათლების მინისტრს 250 000 კუპონი გადასცა.

მე და „ცისკრის" რედაქტორმა აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მივიღეთ მონაწილეობა...

მალხაზი იმავე ბანკის სახელით 100 000 კუპონით შეეწია წინა ხაზიდან ჩამოსვენებულ ორი მეომრის ოჯახს. შეეწია აგრეთვე (თანხა აღარ მახსოვს) ერთ

ბრავლშვილიან დედას გულრიფშიდან.

ვტოვებთ მინისტრთა კაბინეტის შენობას, ხულორდავას ვეუბნები — ამდენი ფული თუ გქონდა, რაღა ჯანელიძეს აძლევდი, იმ თქვენს გამგეობას არძინბას მოსყიდვა დაედგინა, რუსებს კაპიკებად ყავთ ნაყიდი-მეთქი.

— კუპონებს არ იღებს მამაძაღლი და ტყვია რომ უნდა მივაღებინოთ შუბლში, გამგეობის ეს დადგენილება ჯიბეში მიდევსო — მიპასუხა.

მხედრული სული

როცა სიკვდილს წინასწარ შეეგუები, მერე სიკვდილის შიში ნაკლებად დამთრგუნველია, მით უფრო, თუ ეს სიკვდილი სამშობლოსათვის მსხვერპლგაღების აქტია. თეორიულად ამაზე ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ როცა ცხოვრებაში, რეალურად ხვდები ასეთ პიროვნებებს გრძნობ, ისტორია მხოლოდ მითი არ ყოფილა. გრძნობ რომ წარსული ჩვენშია და წინაპართა მხედრული სული კვლავ ცოცხლობს.

4 ივლისს შრომასთან ახლოს მტერმა ვერტმფრენით დესანტი გადმოსხა. ვერტმფრენი ტაფობში დაჯდა. სოხუმის შინაგან საქმეთა სამმართველოს მებრძოლებმა მაღლიდან დასცხეს დესანტს და 80 კაცი გაანადგურეს. ამ ბრძოლაში დაიჭრა ერთი ჩვენი მებრძოლი — ჭელიძე. მის გამოსაყვანად მიეშურება ახალაძე და მასაც ხვდება მტრის ტყვია.

ჭელიძე და ახალაძე დაიღუპნენ.

სოხუმში ახალაძის გასვენებაში მივედით. ასვენია 31 წლის ვაჟკაცის ცხედარი. მამამისს ვუსამძიმრებთ. ჭარმაგი კაცი კი გვპასუხობს, — ოღონდ საქართველოს ეშველოს და დე, ჩემი შვილი უკანასკნელი მსხვერპლი იყოსო.

ლოთი ქობალია და ჯაბა იოსელიანი

11-ში, 10 საათსა და 15 წუთზე ოჩამჩირიდან და სოხუმიდან დაძრული ჩვენი ჯარები შეერთდნენ. გვერდიგვერდ ლომებივით იბრძოლეს ჯაბა იოსელიანისა და ლოთი ქობალიას ბიჭებმა. „ავაზამ“, ბატალიონმა „თბილისელმა“.

არც იოსელიანია უცხო და არც ქობალია, ორივე ბედკრულები საქართველოს შვილები არიან და როცა სამშობლოს დასჭირდა პირადი წყენა დავიწყეს. მათი ხალხი ერთმანეთს ძმურად ჩაეხვია.

ვინც მათ გათიშვას აწი ეცდება „არც მკვდარს, არც ცოცხალს არ ეღირსება მას ქართველის მიწა“...

„ჩინოვნიკები“ თბილისიდან

მაღალი პოსტის ჩინოვნიკი, როგორც წესი ესე წარმოგვიდგენია. პეწიანი, თეთრ პერანგზე ზაფხულის სიცხეში გამოსკვანჩული ჰალსტუხი თავის აუცილებელი ატრიბუტით — ლამაზი კოსტუმით.

ეს სტერეოტიპი ერთბაშად იმსხვრევა სოხუმში თბილისიდან ჩასულ მაღალი პოსტის ხალხს რომ ნახავთ.

აქ არიან სამხედრო ფორმაში ჩაცმული, მხარზე ავტომატგადაკიდებული კოტე გაბაშვილი, თემურ ფიფია, ფრიდონ ინჯია.

პირველი თბილისის მერია, მეორე საქართველოს გამგებელთა გამგებელი, მესამე კავშირგაბმულობის მინისტრი.

კოტე გაბაშვილი პირველთაგანია ტამიშის გამოვლით რომ შემოვიდა სოხუმში დესანტის განადგურების შემდეგ...

ფრიდონ ინჯია სახლის სახურავებზე „დახეტიალობს“ მთელი ღამე კავშირების აღსადგენად.

თემურ ფიფიას კი ბედი არ სწყალობს, საითაც წავა იმ ადგილებს ბომბავენ, ასე იცის შევარდნაძის სიახლოვეში ყოფნამ. აგერ მე, ზაურს და მალხაზს აფხაზები არაფერს გვერჩიან მეთქი, ვიხუმრე, მაგრამ არ მაპატიეს ეს ხუმრობა აფსუებმა...

მორიგი დაბომბვა

11-ში 48 გრადი ჩამოაგდეს სოხუმში. დაინგრა უამრავი შენობა, იყო მსხვერპლი. იმავე ღამით დაბომბეს სახელმწიფოს მეთაურის ადგილსამყოფელი. მეორე დღეს, 12-ში 10 საათზე კი ჩვენს თავზე დაეშვა სამი გრადი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

მანქანაში ხუთნი ვისხედით: ანატოლი ფაცაცია, გენო კალანდია, ზაურ კალანდია, მალხაზ ხულორდავა და მე. ფრუნზეს ქუჩით ვუახლოვდებით მთავრობის სახლს უეცრად, ჩვენს წინ დაახლოებით 40 მეტრის დაშორებით ეცემა გრადი ასფალტზე, პირდაპირ შუა ქუჩაში.

მყიფე, საშინელი ხმა აქვს. 10 ტონიანი ქვა რომ ასეთივე უზარმაზარ ლოდს დაეცეს დაახლოებით ისეთი.

10—15 წამით რომ გვეჩქარა, ბომბები პირდაპირ ჩვენს მანქანას ეცემოდა.

ინსტიქტურად ვხტებით სალონიდან და ტროტუარზე ვწვებით. ისმის წუილი. მეორე ბომბი ეშვება. წევხარ მიწაზე გაკრული და ელოდები აი ახლა დამეცემა, აი ახლა. გაქცევა შეუძლებელია.

მეორე და მესამე გრადი უკან ფეთქდება.

გადავრჩით. წამოვდექით, მაგრამ ვაი, ასეთ წამოდგომას. ჩვენს თვალწინ ნახევარი წუთის წინ ქუჩაში ლაღად მიმავალი ხალხი უკვე დაჭრილ-დასახიჩრებულნი ასფალტზე ფართხალებენ. ცხადია, ვინც უკვე გვამად ქცეული არ არის. შველას, რაც შეგვეძლო ვცადეთ მაგრამ...

ომი და იუმორი

კაცმა რომ თქვას, გაჭირვებიდან გამოსვლის ყველაზე უებარი საშუალება იუმორია.

როცა თავს ზემოთ ძალა არ არის, როცა მოვლენებს ვერაფრით ცვლი და როცა ვიღაცას, სადღაც ღილაკზე ხელის დაჭერით შენი ბედის გადაწყვეტა შეუძლია, ან სრულ დეპრესიაში ვარდები, ან შინაგან ძალებს უხმობ გასამხნევებლად. ქართველებს ამ მხრივ შესანიშნავი წამალი გვაქვს — იუმორის ჭარბი გრძნობა.

მძიმე ბრძოლებში გამოვლილი ჯარისკაცი ვერ ვნახეთ ისეთი, თავისი თავგადასავალი შეზავებული იუმორით არ მოეთხრო.

ხულორდავა ზუგდიდელია და როგორც ყველა ზუგდიდელს, იუმორის გამახვილებული გრძნობა აქვს. ნაშუადღევს, როგორც იქნა, გული საგულეს რომ ჩაგვიდგა მან შეამჩნია მიწაზე ხოხვისას საათი დაჰკარგვოდა.

ავიტეხე, იქვე ეგდება, წავალ და მოვიტან მეთქი (დამავიწყდა მეთქვა, რომ დაბომბვაში წინა დღისითაც მოვხვდით კელასურის ხიდთან და ღმერთმა იქაც გვიშველა) ამასთან დაკავშირებით მალხაზი ყვება ანეგდოტს:

კაცმა ზღვაში შეცურა, დაეწია კატერი და ეუბნებიან — დაბრუნდი თორემ დაიხრჩობიო.

არა, ღმერთი მფარველობსო.

შეცურა უფრო ღრმად. კვლავ დაეწიენ და გააფრთხილეს

— ღმერთი მფარველობსო

— კვლავ თავისას ამბობს...

მესამე გაფრთხილებაც არად ჩააგდო და დაიხრჩო კაცი.

საიქიოში ღმერთს უსაყვედურა, რატომ გამწირეო.

უზენაესი პასუხობს, სამჯერ გამოგიგზავნე კატერი, ვერ შეგასმინე ვერაფერი და, გადაგყვებოდი ახლა ზედო.

ამ ანეგდოტის ხათრით საათის საძებნელად აღარ წავსულვარ.

„მამაცი“ გენერალი

სოხუმის აეროპორტის ჭაოსის აღწერას ტომები სჭირდება. ერთი პატარა დეტალი. თბილისიდან ჩამოფრენილი თვითმფრინავებიდან ვისაც არ ეზარება კანისტრებით ბენზინს ეზიდებოდა.

შეიძლება სულ გაცალონ თვითმფრინავი ბენზინიდან და კაცი არ ჩანს პატრონი.

ამ სურათის შემხედვარე, პარლამენტის წევრი, შესანიშნავი მოქალაქე ვახტანგ ყოლბაია ავიაციის ხანდაზმულ გენერალს სთხოვს მიიღოს ზომები თვითნებობის აღსაკვეთად.

რა ვქნა, ძმაო, სინდისი არა აქვთ და რა ვქნა [illegible] გაშალა გენერალ[illegible]

50 000 რუსული ფულით

თბილისში გვიან ღამით დაბრუნდი[illegible] შვებულებაში წამოსულ შინაბადას ბატალიონის მებრძოლებთან ერთად. აქვე არიან არტილერისტები ბორჯომელი კლადიმერ ხაჩიძის მეთაურობით და ლტოლვილები — ქალები, ბავშვები. შავნაბადას ბიჭებსა და არტილერისტებს ხუთი-ექვსი თვეა ომიდან ფეხი არ მოუცვლიათ. მხოლოდ ამ რეისით 25 მიცვალებული მოჰყავთ. ჩამოვდივართ თბილისში და ახალგაზრდა მძღოლი ჩუმად გვეპატიჟება სამოქალაქო ფორმიანებს მანქანაში, ქალაქში 50 000 რუსულ მანეთად წაგიყვანთო.

კიდევ კარგი ეს წინადადება იარაღიან მეომრებს არ გაუგიათ, კიდევ კარგი...

* * *

ომში გატარებული თითოეული დღე მშვიდობიანი ცხოვრების მთელი წლის ტოლფასია. აფხაზეთი კი უკვე 11 თვეა რაც ომის ასპარეზად იქცა. რამდენიმე სიცოცხლე უნდა აჩუქოთ ადამიანს, რომ იმდენ ელდასა და ტკივილს გაუძლოს, რაც სოხუმელებმა ამ 11 თვის მანძილზე გადაიტანეს.

არადა, 40—45 წუთია საჭირო, იქედან აქ, თბილისში რომ მოხვდეთ საჰაერო ხომალდით. ომსა და მშვიდობას 40—45 წუთი ჰყოფს.

ბევრმა მამაკაცმა აიგუდანაბადავა კიდეც, მაგრამ ჭეშმარიტი სოხუმელები არ გარბიან, ყოველდღე სიკვდილს ჩაჰყურებენ თვალებში და მაინც არ გარბიან, რადგან იციან, გაქცევის შემთხვევაში არა მხოლოდ მათთვის, მათი შვილებისა და შვილიშვილებისათვისაც შეიძლება დაიკარგოს აფხაზეთი, ჩვენი სამშობლოს უმშვენიერესი კუთხე[illegible]ანი. იქ სოხუმში, დავ[illegible]თისა [illegible] ცოტნეს ნამდვილი შთამო[illegible]ავალნი დააბიჯებენ...

ს[illegible]ხუმი-თბილისი
[illegible]6 ივლისი

სისხლისღვრა ფრისში

ერთი თვის წინ ცხინვალში მომხდარმა შეტაკებამ ათზე მეტი ადამიანის სიცოცხლე წაიღო. იბრძოდნენ, ერთი მხრიდან ის შეიარაღებული ფორმირება, რომელიც ქართველებზე „გამარჯვების“ შემდეგ წილის გარეშე დარჩა, მეორე მხრივ ხელისუფლების დამცველი ომონელები. იმ ხელისუფლებისა ვინც სასტიკი წინააღმდეგია ძალაუფლების ახალი გადანაწილებისა და ყოველნაირად ცდილობს არსებული სტატუს-ქვოს შენარჩუნებას.

რეგიონის პრობლემებში კარგად გაცნობიერებულმა ხალხმა იცოდა, რომ მაშინ დაღვრილი სისხლი აუცილებლად მოიტანდა სხვა უფრო მეტ სისხლს და ასეც მოხდა. ივლისის შუა რიცხვებში აღნიშნული შეიარაღებული ფორმირების ხელმძღვანელმა ვინმე თუაევმა, ჩასთვალა რა რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოყვანილი ბოევიკებით უკვე საკმაოდ მომძლავრდა თავის მშობლიურ სოფელ ფრისში დაბანაკდა. ეს სოფელი ცხინვალის აღმოსავლეთით სტარატეგიულად მნიშვნელოვან მაღლობზე მდებარეობს. შეუმოწმებელი მონაცემებით მან კავშირი შესთავაზა ქართულ მხარეს, კერძოდ ცხინვალთან მიმდებარე ერთ-ერთი ქართული სოფლის მცხოვრებთ — ესენი (ცხინვალის ფაქტობრივი ხელისუფლება) გვირაბში გავყაროთო, რაზეც სასტიკი უარი მიიღო. 17 ივლისს თუაევის, მეტსახელად „გამათა“ ფორმირებას თავს დაუსხა ოსური ომონი. რეგიონში სამშვიდობო ძალების ეგიდით არსებულმა რუსულმა ჯარებმა წინასწარ გადაკეტეს ყველა გზები. შეტაკება იყო ხანმოკლე და მძაფრი. 17 მოკლული ბანდიტიდან თექვსმეტის გვამი სასტიკად არის დაცხრილული, თვითონ გამათას კი ერთი ტყვიით მოუსწრაფეს სიცოცხლე. მძიმედ დაიჭრა ერთი ომონელი, ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორის, ოსური სეპარატიზმის შეფარული იდეოლოგის ლუდვიგ ჩიბოროვის ვაჟი. არიან სხვა დაჭრილებიც.

უახლოეს ხანებში ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის ახალი სისხლისმღვრელი შეტაკება გამორიცხული არ არის. დახოცილ ბანდიტთა ახლობლები, რომლებსაც სასწრაფოდ გაატანინეს მორგიდან გვამები შურისძიებას შეეცდებიან. გარდა ამისა ცხინვალში ბევრია ოსური რესპუბლიკისათვის მებრძოლი ის ხალხი, ვინც ხელისუფლების გარეთ დარჩა. ისინი მათთან ერთად ებრძოდნენ ქართველებს ვინც დღეს კაბინეტებში ზის და ისე მდიდრდება — ამის მოთმენის უნარი კი ყველას არა აქვს.

მერაბ ლიახვისპირელი

აფხაზები ახლა ქუთაისსაც გვედავებიან

17 ივლისს, ნაშუადღევს ოსტანკინომ, როგორც ჩანს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის პასტუხოვის თბილისში ბოლო, მისთვის უშედეგო ვიზიტის გათვალისწინებით ახალი, ანტიქართული ფსიქო-იდეოლოგიური იერიში წამოიწყო. ნაჩვენები იქნა 1 საათიანი გაურკვეველი ჟანრის ფილმი „წინამძღოლი“ ანუ აფხაზურად „აფჩარახ“, აფსნიფილმის შემოქმედებითი შედეგი. სიუჟეტის გადმოცემით არც მე შევიწუხებ თავს, არც მკითხელოს გავიმეტებ ამისათვის, მით უმეტეს, რომ იგი საკმაოდ ბუნდოვანი იყო. ცხენზე ამხედრებული, ნიფხავ-პერანგისამარა მსახიობი, აფხაზთა წარმართული წესჩვეულებების ამსახველი კადრების ფონზე ცდილობს მაყურებელს დაუმტკიცოს ის, რის დამტკიცებასაც დიდი ხანია ცდილობენ დიდი რუსი აფჩარახისა და საკუთარი წარმოების პატარ-პატარა აფჩარახების მიერ გზასაცდენილი აფსუები. კერძოდ, რომ ეს მიწა დასაბამიდან მხოლოდ მათია, რომ არა თუ აქ, საერთოდ დედამიწაზეც პირველი რკინა მათ გაჭედეს, პირველი ნავიც მათ შეაცურეს ზღვაში და ა.შ. ფილმი რათქმაუნდა რუსული ტექსტით ხმოვანდება. სხვადასხვა წარმართული ღვთაებებისადმი აღვლენილ ლოცვებსაც დიდი ძმის ენაზე წარმოთქვამდნენ, არადა კარგი იყო აფხაზურად ეთქვათ მაგალითად ზღვის ღმერთისადმი მიძღვნილი სახოტბო სიტყვები, იქნებ „ამორეს“ ხსენებას, ოსტანკინოს მრავალმილიონიან მაყურებელში ვინმე დაეფიქრებინა თუ საერთოდ შერჩა ვისმეს დაფიქრება და განსჯა-განზოგადების უნარი კაცობრიობის მუწუკად გაჩენილ ამ ხალხში.

მაგრამ რაც გასაგონებელი იყო და რისთვისაც ეს ფილმი საერთოდ იქნა გადაღებული, ის გააგონეს რუსეთს. ეს ნახევრადშიშველი, ორკაპა ჯოხით შეიარაღებული წინამძღოლი — აფჩარახ მუხლებზე დასკუპულ პატარა ბიჭუნას ეუბნება, რომ ეს მიწა მხოლოდ მისია, რომ არც მეტი არც ნაკლები ქუთაისი, რომელსაც ადრე აია ერქვა მისი წინაპრების აშენებულია, რომ ზღვამდე მიწებს ისინი განაგებდნენ, მერე უცხო ქვეყნიდან მოსულმა მოგზაურმა — იაზონმა კოლხიდა უწოდა მას და ასე დამკვიდრდა აფხაზური მიწების ეს ქართული სახელი რას იზამ ამოხვრით ასკვნის შიშველ-ტიტველი აფჩარახი, მოსული მოსულაო და მწვანილითა, ალბათ ქუთაისელობას რომ გაუსვას ხაზი და ყაღით უმასპინძლდება წუთის წინ სულიერი შხამით დაპურებულ პატარას. მორალი მეტად მარტივია — ქუთაისს დამაარსებელ ხალხს ქართველები სოხუმსაც — აკუას ედავებიან. ამიტომ გამოიტანე დასკვნა კიდევ ერთხელ დიდო რუსეთო თუ ვინ არიან ქართველები. და ოსტანკინოს მაყურებელსაც იოლად გამოაქვს ეს დასკვნა, მითუმეტეს რომ ასეთი დასკვნები მათ ინტერესებშიც შედის. ეტყობა ამ ქართველთმოძულე ტელეკომპანიას განსაკუთრებით გულისყურიანი მაყურებელი ვორონეჟის უეზდში ჰყავს, რადგან ტამიშთან განადგურებული საზღვაო დესანტის გარკვეული ნაწილი სწორედ იქაურები იყვნენ.

ამ ფილმის ნახვის შემდეგ მოხალისელთა ახალი ტალღის მოზღვავებაა მოსალოდნელი ნეოლითიდან ამ მაწის „პატრონ“ აფსუა-ადიღეებისათვის, ყოველ შემთხვევაში თვითონ ისინი იგრძნობდნენ ძალების ახალ მოზღვავებას.

როგორც ჩანს აფხაზ სეპარატისტთა უმთავრესმა „აფჩარახმა“ მას შემდეგ რაც ტოკიოში თითი დაუქნიეს, ხოლო თბილისში მისთვის მოულოდნელად მუშტიც დაანახვეს საქართველოზე სხვაგვარი შეტევის განხორციელება გადაწყვიტა. საინფორმაციო სააგენტოებში ოდნავ შეცვალეს ტონი, სამაგიეროდ სხვაგვარი გადაცემებით ცდილობენ ნეტარი წამებულის იმიჯი შეუქმნან აფსუებს, ვინც თურმე ქვის ხანიდან იბრძვის დამპყრობელი ქართველების წინააღმდეგ და დღესაც ცდილობს აია-აკუას შორის გადაჭიმული სამშობლოდან მორჩენილი ნაწილის გადარჩენას.

სხვათა შორის მუშტისა და თითის დიპ-თეორია იმ კაცის დამუშავებულია ვინც ახლახანს ბრძანდებოდა, თბილისში, გუდაუთის გავლით. დიახ ბატონი პასტუხოვი გახლდათ ის პირი, ვინაც რუსეთის უზენაესი საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას იქ ჩაბუდებული წითელ-ყავისფერების გასახარად და იმის დასამტკიცებლად, რომ ყოფილი კოლონიების მიმართ სამფეროვანი „დემოკრატები“ აბსოლუტურად იზიარებენ მათ პოზიციას, განაცხადა — დროა საქართველოს სადაც საჭიროა მივუთითოთ, ხოლო სადაც საჭიროა მუშტი ვაჩვენოთ.

რა ქნას საწყალმა საქართველომ დაჰყვეს ამ ავაზაკი „მწყემსის“ სურვილებს თუ იბრძოლოს, იბრძოლოს ყოველგვარი საშუალებებით და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, იბრძოლოს თუნდაც იმიტომ რომ ჩვენი შვილებიც ისე არ გაამანქურთონ, როგორც ის უნიფხვო აფხაზი, რომელსაც ერთმანეთზე მიყუდებული ქვები მოქვისა და ბედიის ტაძრებზე უკეთეს არქიტექტურულ ძეგლებად მიაჩნია, ხოლო ქართველთა უძველესი სატახტო აია-ქუთაისი თავისად.

მერაბ მაისურაძე

ომი ცივი ომის შემდეგ

ვანა რუსეთი უომრად შეურიგდება იმპერიის დაკარგვას? ამის პასუხი უკრაინაში ძევს. რუსეთის სამსაუკუნოვანმა მმართველობამ უკრაინაში, რუსების უმეტესობას ჩაუნერგა აზრი, რომ უკრაინელთათვის ისე გადმოეხედათ ზემოდან, როგორც სოფლელი ნათესავებისათვის, და მიეჩნიათ დიდი რუსი ხალხის — მართალია, მოზრდილ — ნაწილად. თუკი რუსეთი ამჟამად დაჯაბულდება უკრაინის დამოუკიდებლობას, ეს ნიშნავს რუსული იმპერიის უეჭველ სიკვდილსა და დასამარებას.

მაგრამ ნიშნები არცთუ სასიკეთოა. უაღრესად გამწვავდა დავა რუსეთსა და უკრაინას შორის ბირთვულ იარაღსა, ყოფილი საბჭოთა კავშირის შავი ზღვის ფლოტსა და ფულზე. იური დუბინინმა, მოლაპარაკების მეთაურმა რუსეთ-უკრაინას შორის, განაცხადა: ამგვარი რამ გარდუვალია, როცა ერთმანეთთან ასე მჭიდროდ დაკავშირებული ორი ქვეყანა იძულებულია ისწავლოს თუ როგორ დარჩნენ ძმებად, ოღონდ ორ სხვადასხვა შტატადო. შესაძლოა. რომ ჰკითხოთ, რამდენი დისპუტი დაჭირდა გადაწყვეტილების გამოტანას ბოლო 18 თვის მანძილზე, გეტყვიან, ყველაფერი იმ გასაყოფი თანხის ირგვლივ ტრიალებს, გერმანიამ რომ უბოძა შინდაბრუნებულ ოფიცრებსო. მოლაპარაკება ცხრა თვეს გრძელდებოდა და მიღებული თანხა სულ 7.8 მილიონი გერმანული მარკაა (4.7 მილიონი დოლარი).

ორივე მხარეს ღვივდება ნაციონალიზმი. უკრაინის მთავრობას კანონიერად აწუხებს, როცა შეჰყურებს მერყევსა და უკიდეგანოს, ბევრად მძლავრ მეზობელს, რომელზეც ეკონომიურადაა დამოკიდებული (უკრაინას ნავთის 90 პროცენტი რუსეთიდან შემოაქვს, უკრაინის ექსპორტის ამ მთავარი ბაზრიდან). უკრაინას შეეძლო აღშფოთება გამოეხატა რუსეთის განრისხების ან თავდასხმის გამო, მაგრამ „უმცროსი ძმის კომპლექსმა“ და ნაციონალურმა აღზევებამ გამოიწვია უკრაინელი ლიდერების აგრესიულობა.

იმავ დროს, უკრაინელებს შეაქვთ არევ-დარევა, რათა თავი დააღწიონ მათ ეკონომიკას. ჰიპერინფლაციური ტორტმანი, და 16 ივნისს პრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკი გამოეხმაურა ახალი სამხედრო ყაიდის ჯგუფის წამოწყებას, რომელიც ხელში იღებს პარლამენტის, უშიშროების სამსახურისა და ეკონომიკური პოლიტიკის მართვას და ძალაუფლებას ანიჭებს პრემიერ-მინისტრს, რაღაც უშველოს ამხელა კრიზისიდან თავდასაღწევად. ეკონომიკის ნანგრევებში ლიდერები დამნაშავეს დაეძებენ. რუსეთი აშკარა განტევების ვაცია. მიკოლა მიხალჩენკომ , პრეზიდენტ კრავჩუკის მთავარმა პოლიტიკურმა მრჩეველმა, თქვა: „სავსებით ნათელია რუსეთის ტაქტიკა. მას სურს აიძულოს უკრაინას პოლიტიკური დათმობები ახალი კავშირის, მოდერნიზებული საბჭოთა კავშირის შესაქმნელად. რუსეთს სურს დაანთქოს უკრაინა“.

რუსეთის მთავრობის ეს რეფორმები პარანოიული შიზოფრენიის გამოვლენაა. მათ მიაჩნიათ, რომ რუსეთს თავზესაყარი აქვს საკუთარი პრობლემები იმპერიის ხელახალი შეკოწიწების გარეშეც. თუკი უკრაინაზე რაიმეს ფიქრობენ, ალბათ მისი ჩამოცილება ურჩევნიათ. რუსეთის საგარეო რეფორმების პოლიტიკა დასავლეთისკენაა მიმართული.

მაგრამ რეფორმებს საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში შედარებით აბრკოლებენ მემარჯვენე ოპონენტები, რათა უკარნახონ პირობები დებატებისა, თუ როგორ მოექცნენ უკრაინას. თვითონ ვერ გაუგიათ, რა სურთ. თანახმად გაზეთ „დენისა“, მემარჯვენეთა ამ რუპორისა, შეხვედრა მოეწყო თებერვალში იმ გაურკვეველი კაბინეტის მიერ, რომელსაც ზოგჯერ ეროვნული ხსნის ფრონტს უწოდებენ და რომელსაც მხარს უჭერს რუსეთის პარლამენტის ერთი მესამედი. აქ გადაუწყვეტიათ, რომ „მდგომარეობა უკრაინაში სულ უფრო და უფრო საშიში ხდება. ამასთან, როგორც პროფესიონალები ირწმუნებიან, ჩვენ უნდა მივაგნოთ შესაძლო სცენარს მოულოდნელი ბირთვული ომისათვის კიევთან“.

ასეთი დამთხვეულობა ნიშანია ნაციონალიზმის გაღვივებისა რუსეთის პოლიტიკურ წრეებში. ალექსანდრ ციპკომ, ფილოსოფოსმა და დემოკრატ-ნაციონალისტმა ვინც ბევრს ლაპარაკობდა გამობრძმედილ რუს პოლიტიკოსებს შორის, შ რშან დაწერა: უკიევოდ, რუსეთის კულტურული ცენტრი რომ იყო მე-12 საუკუნიდან მოყოლებული, „არ იარსებებდა ძირძველი რუსული მსოფლგანცდაო“.

სამი ძმათამკვლელი ბრძოლა.

ყოველივე ამის მიუხედავად, მეტად საკვირველია, რომ რუსეთსა და უკრაინას შორის არა და არ შეწყდა დისპუტები სამი რამის ირგვლივ. პირველი ეხება ფულს. რუსეთი და უკრაინა ვერ შეთანხმებულან, თუ როგორ გაინაწილონ საბჭოთა კავშირის ვალი და მემკვიდრეობა. ვაჭრობის მართვიდან გამოსვლა და მაბალი ფასების დადგენა სამომხმარებლო საგნებზე დიდ პრობლემებს იწვევს. შარშან ივნისის თვეში დადებული შეთანხმება მსოფლიო ბაზრის ფასებთან შეთანასწორებისა, დუბინინის სიტყვით განისაზღვრა, როგორც „განსახორციელებლად მეტად ძნელი“.

საგანგებოდ უნდა ითქვას ნავთისა და გაზის შეძენაზე უკრაინაში. წლევანდელი წლის დასაწყისში რუსეთი დაპირდა უკრაინას, მოემარაგებინა 14.5 მილიონი ტონა ნავთით, დაახლოებით მესამედით, რაც უკრაინას სჭირდება მთელი წლისათვის. ამჟამად რუსები იმუქრებიან ნავთის გადაკეტვით, რადგან უკრაინას ჯერ კაპიკიც არ გადაუხდია.

უკრაინა უკმაყოფილოა, რომ რუსეთი იყენებს ეკონომიკურ მუქარას, რათა შეავიწროვოს და სამხედრო დისპუტში ჩაითრიოს შავი ზღვის ფლოტი და 176 ტიპის ბირთვული რაკეტები, უკრაინის მიწაზე განლაგებული. შარშან აგვისტოში პრეზიდენტებს — კრავჩუკსა და ელცინს — შორის დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა შავი ზღვის ფლოტის გაყოფას ორად 1995 წლისათვის. ეხლაც შეუძლებელია იარაღის განაწილების მიზეზით. უკრაინის მთავრობას არ შეუძლია მისი ნახევრის გადახდაც. ამან შესაძლოა ამბოხება გამოიწვიოს, რადგან ბევრ მეზღვაურს, ვინც თავდაპირველად უკრაინას შეჰფიცა ერთგულება, დაევალა იმსახურონ რუსული დროშის ქვეშ, ვიდრე ვალს გაისტუმრებენ.

მაგრამ მთავარი პრობლემა — როცა კვლავ განახლდა დისკუსია კრავჩუკსა და ელცინს შორის 17 ივნისს — ისაა, თუ სად დაფუძნდეს ფლოტი. რუსებმა აზრი გამოთქვეს, სევასტოპოლის ნახევარს ავიღებთო, მაგრამ უკრაინელებს არ სურთ დათანხმდნენ რაიმე რუსული მოთხოვნას მათ მიწაზე. ასე რომ, რუსები ამბობენ, ნავსადგურისათვის ქირას გადავიხდითო. არაფერია სასიკეთო. „ჩვენ არასდროს გავაქირავებთ სევასტოპოლს, რადგან ვეღარასოდეს დავიბრუნებთ უკან“, ამბობს მიხალჩენკო.

რაც შეეხება ბირთვულ იარაღს, კრავჩუკი პირობას დებს, რომ უკრაინა საბოლოოდ ამტ[illegible] პირველ სამხედრო-სტრატ[illegible] ხელშეკრულებას (სტარტ 1) და ხელმოწერას ბირთვული იარაღის ახალი განლაგების თაობაზე (ბიგ). ეს დაპირებანი სულ უფრო და უფრო მიყრუვდა. 3 ივნისს უკრაინის პრემიერ-მინისტრმა ლეონიდ კუჩმამ განაცხადა: ვფიქრობ, უკრაინა გადადებს ხელმოწერას „ბიგ“-ზე და, სულ ცოტა დროებით, შეიკავებს თავს, რათა 46-სს-24 სარაკეტო ხელშეკრულება არ დაიფაროს სტარტ 1-ძით.

დაძაბულობის მესამე არეალი რუსეთსა და უკრაინას შორის ნაკლებ საშინლად გამოიყურება, მაგრამ შეუძლია ყველაზე მეტი პრობლემები გამოიწვიოს. ეს არის 12 მილიონი რუსი მოსახლეობა უკრაინაში. ყირიმის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა, მიუხედავად სიმჭიდროვისა, 1991 წლის დეკემბრის რეფერენდუმზე ხმა მისცა უკრაინის დამოუკიდებლობის საწინააღმდეგოდ. ქარხნების უმეტესობა უკრაინის ჭაობიან სარტყელშია და ეკონომიკური მომავალი არ გააჩნია. ეს ეთნიკური რუსები ცხოვრობენ არეალში, სადაც ყველაზე მეტადაა მოსალოდნელი ეკონომიკური დაცემა. უკრაინის ლიდერები ბრალს სდებენ ეთნიკურ რუსებს სეპარატიზმის გაღვივებაში, მაგრამ ისინი გულმოსულნი უარყოფენ ამ ბრალდებას.

თუ არა რადიკალური რეფორმები, უკრაინის ეკონომიკა სულ უფრო და უფრო დაეცემა. და ორმხრივი ურთიერთბრალდებანი გაღვივდება. მაშინ რას იზამს რუსეთის მთავრობა? ელცინს შეუძლია პოლიტიკური ძალით ჩაერიოს. მის შემცვლელს ეს აღარ შეეძლება. და მოსალოდნელია დაიწყოს ძმათამკვლელი ომ[illegible] ორ ბირთვულ [illegible] შორის.

„დე ეკონომისტ“,
19 ივნისი, 1993

ავტომატი ყაზარმაში უნდა იდოს

ჩვენს გაზეთში, ჯერ კიდევ სახელმწიფო საბჭოს პერიოდში, არაერთხელ ვუსაყვედურეთ მაშინდელ სამხედრო ხელმძღვანელებს, ბატონებს თენგიზ კიტოვანსა და ჯაბა იოსელიანს იმის თაობაზე, რომ ქალაქში ბევრი ავტომატიანი სამხედრო ფორმიანი დააბიჯებს და ბევრი დანაშაული სწორედ ამ ავტომატიანთა ხელით ან ხელშეწყობითაც ხდებაო. ამ საქმეს, რა თქმა უნდა, არც ჩვენი წერილ-თხოვნებითა და არც სხვათა მუდარა-არზებით ეშველა მაშინ და რაოდენ სამწუხაროა, რომ დღესაც იგივე გრძელდება. დღესაც, ისევე როგორც შარშან, კვლავ დააბიჯებენ ქალაქში ავტომატიანი, სამხედრო ფორმაში ჩაცმული პირები და ღმერთმა იცის, რომელია ჯარისკაცი და რომელი — ბანდიტი. დადიან ჯგუფ-ჯგუფად, ცალცალკე და თუ გაბედავ და კითხავ, შუა ქალაქში ავტომატი რად გინდათ თქვე კაი დედმამიშვილებოო, უმალ გიპასუხებენ, ომში მივდივარ და იმიტომო.

ღმერთმა მშვიდობით და გამარჯვებით ჩამოიყვანოთ იქიდან, მაგრამ ჩემი აზრით, ქალაქში მაინც არ უნდა დადიოდნენ ავტომატიანები (გარდა პოლიციისა) რადგანაც გამოგიცდიათ ალბათ, მშვიდობიანი მოსახლეობისთვის რა არასასიამოვნო განცდაცაა (შიშს რომ თავი დავანებოთ) მხარზე ავტომატგადაგდებულ ადამიანთა მეზობლობა, სხვა რომ არაფერი იყოს, ეშმაკს არ სძინავს, ეგებ თავისით გავარდესო.

მით უფრო რომ უკვე საკმაოზე მეტი პრეცედენტები გვქონდა იმისა რომ ასეთმა შეიარაღებულმა ფორმიანებმა არადანიშნულებისამებრ გამოიყენეს იარაღი და ზოგან ამას მსხვერპლიც მოჰყვა. აგერ სულ ახლახანს, როგორც ამბობენ, ერთ-ერთი კომერციული კიოსკის გამყიდველს ახირებიან შეიარაღებული ფორმიანები, გინდა თუ არა არაყი მოგვეციო (რა თქმა უნდა, მუქთად). გამყიდველი გაჯიუტებულა, არაფრის დიდებითო (მიეცა იმ დალოცვილს) და ამათაც შეიარაღებულებს, მოძალებული ბოლომისაგან საბრძოლო ყუმბარა შეუგდიათ ჯიხურში, რომლის აფეთქებასაც რა მოყვებოდა, თქვენ წარმოიდგინეთ, მკითხველო.

ჩვენ ადრინდელ წერილებშიც ვწერდით და სამწუხაროდ, ახლაც გვიხდება იმაზე საუბარი, რომ ღამით ქალაქი აკლებულია ავტომატების სროლით. კაცი ვერ გაიგებს ვინ ისვრის, რატომ ისვრის. გავიძახით, იარაღი გვიჭირს, ტყვია-წამალიც ძვირიაო და აგერ, ჩვენს თვალწინ კი ტყუილუბრალოდ (თუმცა ვინ იცის!) იხარჯება ტყვია.

დღეს საომარი მდგომარეობაა ქვეყანაში და გვესმის, რომ წესრიგის დამყარებაც უფრო რთულია, მაგრამ იმის გაკეთება, რომ ჯარისკაცს ქალაქში ავტომატი არ დაჰქონდეს და იგი (ავტომატი) ყაზარმაში იყოს ჩაკეტილი, ძნელი არ უნდა იყოს.

სერგო ჯანაშია

ჯიბეს უფრთხილდით... ტროლეიბუსში

დღევანდელი ქურდობებისა და ბანდიტიზმის მასშტაბით ამ საქმეში მოწინავე ქვეყნების დონეზე რომ გავედით, ეს აშკარაა. მაგრამ როგორც ჩანს, წვრილმანი, ანუ ჯიბის ქურდობის მასშტაბებითაც არავის ჩამოვრჩებით. მით უფრო, რომ ამ დარგის „სპეციალისტებისთვის“ ხელსაყრელი „სამუშაო“ ვითარება შეიქმნა განსაკუთრებით საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ყველაზე მეტად კი ტროლეიბუსებში.

მოგეხსენებათ, თუ რა ჭედვაა დღეს ჩვენს ტროლეიბუსებში. ისეა ხოლმე ხალხით გაჭედილი, როგორც იტყვიან, ნემსი არ ჩავარდება. ჯიბის ქურდები კი, ეტყობა, სარგებლობენ იქ შექმნილი ჭიკავით, ჭიდილით და ერთი მეორეზე ასუფთავებენ ჯიბეებს.

ყურმოკრულ ამბავს არ გეუბნებით. საკუთარ თავზე გამოვცადე და ამის მერე ყოველთვის ვაფრთხილებ ნაცნობ-მეგობრებს:

ჯიბეს უფრთხილდით... ტროლეიბუსში!

ს. რუხელი



კახური სიდინჯის საროჯნე

ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის წევრს ბატონ მერაბ მეტრეველს 9 ივლისს საღამოს სასტუმრო „აჭარის“ ნომერში ჩამოვართვით, პროგრამა „მაცნე“ საინფორმაციო სააგენტოების იმედის ჩამსახველ ცნობებს გვაწვდიდა.



ბატონო მერაბ კახეთის — უძველესი და ულამაზესი ქალაქი, მძლავრი ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალის მქონე თელავი, რა მდგომარეობაა დღეს იქ

— თელავი საქართველოს ერთიანი განუყოფელი ქსოვილის ნაწილია და ყველა ის პრობლემა, რაც დღეს ჩვენს საშობლოს აწუხებს თელაველია სატკივარიც არის, თუმცა ხაზგასმით მინდა ავღნიშნო, რომ გვაქვს „სპეციფიკური“ პრობლემებიც რომელთა არსებობაში ძირითადად ჩვენვე ვართ დამნაშავენი. თელავში პური არ ცხუება, მაშინ როდესაც იმპორტული ფქვილი თითქმის ყველა ბუდრუგანაში და სოფლის ორლობეში იყიდება. თუ ეს კომერციული სტრუქტურების მიერ შემოტანილი ფქვილია გვაქვებს მისი რაოდენობა, მაგრამ არის საკმაოდ საფუძვლიანი ეჭვები, რომ ეს სწორედ ის ფქვილია, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნებში ტონობით აგროვებს ჩვენ. ხალხმწიფოს მეთაური და მერე ტომრობით უნაწილებს სხვადასხვა რეგიონებს. ორი კვირის წინ მრავალშვილიანმა მამამ, როცა ვერც პური იშოვა და ფქვილის ყიდვასაც ვერ შესწვდა თავი ჩამოიხრჩო. ამ ფაქტს, რომელიც ღრმად ჭრაში არა მარტო თელავის, მთელი რესპუბლიკის მსჯელობის საგანი უნდა გამხდარიყო, დიდად არ შეუწუხებია არც გამგეობა და არც მისი თავმჯდომარე ბატონი მერაბ ხიდეშელი. ადრე პურს ყიდულობდნენ იმიტომ, რომ ქერქი გადაეძროთ და ის მაინც ეჭმიათ ბავშვებისათვის. გული იმდენად მეკვე და ტალახისმაგვარი გახლდათ საქონლის საკვებადაც, რომ არ გამოიყენებოდა

— დღეს ესეც აღარ არის. და ეს ყველაფერი იმ ფონზე, როცა დილის საინფორმაციო პროგრამა „ალიონზე“ თელავში არსებულ საპარლამენტო წარმომადგენლობაზე დაყრდნობით გააკეთა განცხადება, რომ თელავში ყველაფერი წესრიგშია თუმცა ამას შემოწმება სჭირდებაო. მეორე შემთხვევაში გამგებლის მოადგილემ ფარნა გიგაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პური ცხუება. ეს არის ცინიზმის უმაღლესი ფორმა

— ეკონომიკური სიდუხჭირე კრიმინოგენული სიტუაციის დაძაბვის საუკეთესო საშუალებაა.

— მართალი ბრძანდებით. რაიონის მასშტაბით ორი დღეს 7 მკვლელობა მოხდა, ეს ადრეული ხანების ერთი წლის მაჩვენებელია.

სიდუხჭირე კიდევ იტყვის თავის სიტყვას ჩვენს რეგიონში. კიდევ უფრო გამწვავდება კრიმინოგენული სიტუაციაც, რადგან ყველა გამწარებული მამა არ მიმართავს პროტესტის იმ ფორმას, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. რეგიონის ზოგიერთ საწარმოში გასული წლის აგვისტოდან ხალხს ხელფასი არ აუღია.

— საწვავიც ალბათ კერძო პირებს შემოაქვთ

საწვავი ძირითადად ორი წყაროდან შემოდიოდა დაღესტანი და აზერბაიჯანი ახლა აიმ უკანასკნელმა იქ შექმნილი მდგომარეობის გამო შეაჩერა. ამდენად შეჩერდა სასოფლო-საშეურნეო საშუალოები, არადა გახურებული ალოთაა. საწვავიც რუსულ მანეთებზე, უკუპონოდ დარჩენილი მოსახლეობისათვის მიუწვდომელ ვალუტაზე იყიდება.

— რა თქმა უნდა. საერთოდ მინდა ავღნიშნო, რომ რაიონში ყველაფრის ვაჭრობას, დაწყებული საწვავიდან დამთავრებული შოკოლადი „სნიკერსით“ უშუალოდ ერთი პიროვნება აკონტროლებს. მისმა კონიაკის ჩამოასხმელმა ხაზებმა უკვე მოასწრეს და საბოლოოდ გაუფუჭეს სახელი კონიაკ „ნაფარეულს“. ფალსიფიკაციის დონე იმდენად მაღალია, ხალხი მოწამლა.

— ბატონო მერაბ მე ჩემს პირველ შეკითხვაში თელავის ინტელექტუალური ძალები ვახსენე, როგორ მოხვდა ხიდეშელი ასეთი დიდი ტრადიციების ქალაქის და საერთოდ მთელი რაიონის სათავეში.

— იგი ერთ-ერთი ღვინის ქარხნის დირექტორი იყო. კომუნისტების დროს რაიკომის მდივნობისათვის იბრძოდა, პრეზიდენტის ზეობის ხანაში პრეფექტობა სურდა, მაგრამ ბატონმა ზვიადმა რაღაც მიზეზის გამო დაიწუნა, ახლა კი გამგებლობას მიაღწია. პარალელურად მან და მისმა ძმამ აგროფირმები ჩამოაყალიბეს ერთმა „ნაფარეული“ მეორემ „წინანდალი“. ამავე დროს გამგებელი ერთ-ერთი ფასიანი სასწავლებლის დირექტორია. აგროფირმებმა საწკავ-სათესი ფართობების საკმაოდ დიდი ნაწილი მითვისეს და პრივატიზაციის მთელი რესპუბლიკისათვის ისედაც მტკივნეული პროცესი ჩვენს რეგიონში მეტად მძიმედ ჩატარდა. ნაცვლად 1,2 ჰექტარისა მოსახლეობის 1 ჰექტარი მიწა დაურიგდა, ისიც ყველას არა.

— ე.ი. თელავში დღეს არ არის ისეთი ძალა, რომელიც ამ კაცის ოვითნებობას დაუპირისპირდება. ყოველ შემთხვევაში ასე უნდა ვიგულისხმოთ თქვენი საუბრიდან.

— საშუხაროდ უნდა დაგეთანხმოთ, თუმცა ეს ფორმულირება განმარტებას საჭიროებს. თელავში მოქმედებს პოლიტიკური პარტიების საკოორდინაციო საბჭო. იგი ადრეც გამგებლის არჩევნების დროსაც არსებობდა. მაგრამ მაშინ ყველამ გარდა სახალხო ფრონტისა და ნაწილობრივ მწვანეებისა მხარი მის კანდიდატურას დუჭირეს. ახლა როცა ურემი გადაბრუნდა ყველამ დინახა, მაგრამ გვიანაა. დღეს საკოორდინაციო საბჭო ებრძვის მას, რა თქმა უნდა პოლიტიკური ხერხებით, მაგრამ იმ დონეზე ვერა, როგორიც ეს თელავის საზოგადოებას ეკადრება. გამგებელი ყველა ეკონომიკური და ადმინისტრაციული ბერკეტებით საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებისათვის მანიპულირებს.

— ალბათ აქედან გამომდინარე მომავალ არჩევნებში მხედველობაში მაქვს ადგილობრივი არჩევნები, მას გამარჯვების შანსი აქვს.

— ქვეყანაში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით თუ ვიმსჯელებთ ვეჭვობ ეს არჩევნები წლეულს ჩატარდეს. ისე იგი იმდენად სახელგატეხილი არა მგონია საკუთარი კანდიდატურა წამოაყენოს, ალბათ წინ ვინმე თავისიანს წამოსწევს

— და გაიყვანს?

— საშუხაროდ ჩვენთან არჩევნებში გამარჯვების გარანტად ჯერ-ჯერობით კვლავ რჩება ეკონომიკური სიძლიერე. ხელისუფლებაში ყოფნა და ელექტორატის გაუცნობიერებლობა. ამდენად შანსი აქვს.

— არ ყოფილა აბა თელავეულების საშველი

— ჯერ მინდა საზოგადოებას ის გავაგებინო, თუ რატომ ითქმენს თელავი ამდენს. მხოლოდდამხოლოდ ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გამო. კახური სიდინჯე და თელავის ინტელიგენციის დონე არ აძლევთ მათ იმის უფლებას ამ ექსტრემალურ პირობებში რაიმე კარდინალური ზომები მიიღონ, თორემ ხალხის 75 პროცენტი უკიდურეს გაჭირვეაშია. მე ვიცი ოჯახები, რომელიც თამამად ეუწოდებდი ქართულ ინტელიგენციის სიამაყეს, ყოველ დღეს იმაზე ფიქრობენ ხვალ რა გაყიდონ რომ შვილები გამოკვებონ. თელავის საზოგადოება ორ ნაწილად არის გაყოფილი. ერთნი ითხოვენ მერის დანიშვნას. და უნდა მოგახსენოთ, რომ თელავი, ისევე როგორც 10 ათას მოსახლიანი ნებისმიერი ქალაქი საქართველოში მერიალურ მმართველობას ეკუთვნებარება. მაგრამ მეორე ნაწილი დაშინებული იმით რომ ეს დანიშვნაც შეიძლება სავალალო გამოდგეს ქალაქისათვის, უარს ამბობს. მოკლედ საკმაოდ რთული სიტუაციაა. მე მაგალითად დანიშვნაშიც ვერ ვხედავ პანაცეას. როგორც ცენტრალური და ადგილობრივ მმართველობის რეფორმათა საპარლამენტო კომისიის ქალაქის მმართველობის ქვეკომისიის თავმჯდომარე, კურსში ვარ ყველა ამ საკითხებისა და ვიცი თუ მერს არ ექნება მარეგლამენტირებული აქტები იგი რაოდენ ნიჭიერიც არ უნდა იყოს ვერ შეაჩნის თავის გუნდს — ვერ მართავს ქალაქს. ეს კი მისადმი უნდობლობას გამოიწვევს, კვლავ ქაოსი და კვლავ დემაგოგიური ნიჭით დაჯილდოებული მედროვე მაფიოზი აღზევდება ნებისმიერი ქალაქის თავზე.

— ბატონო მერაბ რაიმე პირადული ხომ არ არის თქვენი და მერაბ ხიდეშელის ურთიერთობაში

— არამცდა არამც თუმც იგი ძალზე ცდილობს სწორედ ამ კონტექსტში გადაიყვანოს ჩვენი წმინდა პოლიტიკური, პატრიოტული მოსაზრებებით გამოწვეული დაპირისპირება.

— აფხაზეთში ომის აპოგეამ ზენიტს მიაღწია. ხალხმწიფოს მეთაურმა გამგებლებს საგანგებო უფლებები მიანიჭა. ხომ არ გამოიყენებს თელავის გამგებელი ამ უფლებებს თავის სასარგებლოდ.

— აუცილებლად, მაგრამ მჯერა ხალხმწიფოს მეთაურიც გამოიყენებს მისთვის უფრო ადრე მინიჭებულ უფლებებს და მოკითხავს ყველა ვინც ჯერ უფლებებს წამოსწევს წინ და მერე პასუხისმგებლობას

— ე.ი. მოსალოდნელია თელაველთა სატკივარს ეშველოს

[illegible] მოსალოდნელია

და ბოლოს ქალაქ კომისიის თავმჯდომარეობა [illegible] რაჭული წარმოშობისადა გამო ხომ არ არის.

მე რაჭული წარმოშობის კახელი ვარ, ისევე როგორც ჩვენი გამგებელი ეს ტკივილი მალაპარაკებს

— რაჭული წარმოშობის კახელისაგან ასეთი საუბარი მართლა დიდი ტკივილისა უნდა იყოს. ღმერთმა ქნას, მალე გამოვსულიყავით ამ ტკივილიანი პერიოდიდან და შველებოდეს საქართველოს, თელავს.

— დიდ აღმართის დიდი დაღმართი მოსდევს მჯერა ასეც იქნება.

ესაუბრა

მერაბ ცხინვალელი

ოფიციალური პენსიაზე

საქართველოს მთავრობამ ომის მეთერთმეტე თვის მიწურულს, როგორც იქნა გამოსცა დადგენილება პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში სამხედრო საიდუმლოებების დაცვის შესახებ. ომის ლოგიკა მოითხოვს ასეთი დოკუმენტები ომის დაწყების პირველსავე დღეს იქმნებოდეს, მაგრამ — სჯობს გვიან ვიდრე არასდროსო, თუმცა უკვე იმდენი უბედურება მოიტანა ყველაფერზე „უპრაგონოდ“ წერამ და ლაპარაკმა სასიხარულო ნამდვილად არაფერია, მით უმეტეს რომ არც დადგენილების შესრულებას უჩანს პირი.

2 ივლისის შემდეგ, როცა სოხუმზე რუს-აფხაზთა შეტევები გაძლიერდა და ოჩამჩირის რაიონში გადმოსხმულმა მტრის საზღვაო დესანტმა მომაკვდინებელი საფრთხე შეუქმნა საქართველოს ამ რეგიონს, რადიოს საინფორმაციო გადაცემები სკრუპულოზური სიზუსტით აფიქსირებდნენ, რომელი რაიონიდან, როდის, რამდენი კაცი წავიდა დასავლეთის ფრონტზე, აქედან რამდენი იყო რეზერვისტი, რამდენი მოხალისე, და რა საკვები თუ საომარი მასალა გაიყოლეს თან.

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ რუსეთის, ჩვენთან მეომარი მხარის, დაზვერვა ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში. იგი უბრწყინვალესი ტექნიკური საშუალებებით აფიქსირებს მოწინააღმდეგის ყოველ გადაადგილებას. დაუმატეთ ამას საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მისი არაკეთილმოსურნე „მოქალაქეები“ და მიხვდებით, რომ რუსეთის ჯარების ჯგუფის სადაზვერვო განყოფილებას (ГРУ) ბევრი — საქმე აღარ დარჩენია. მაგრამ ერთი რამე მაინც უნდა აღინიშნოს. ნებისმიერ სახელმწიფოში უწესრიგობა და ქაოსი ყველაფერს უშლის ხელს, მათ შორის მოწინააღმდეგის სადაზვერვო სამსახურებსაც. „ГРУ“ კი არა, ეშმაკი ვერ გაიგებდა ეთქვათ სამტრედიიდან სამხედრო ფორმაში ჩაცმული და ავტომატებით შეიარაღებული ადამიანების ჯგუფი აფხაზეთში მიდიდა საომრად თუ მეზობელ სოფელში ძმაკაცის ქორწილში ან იქნებ სარფის საბაჟომდე უნდა მიეცილებინათ სპილენძით ან ხე-ტყით დატვირთული მანქანა. ეს საქართველოს რადიოს მეშვეობით გაიგო მტერმა. გასაგებია, რომ გამგებელებს თავის გამოჩენის სურვილი ამოძრავებთ, რაც ხალხს დაანახვებს თუ როგორ აღსდგა ერი და ბერი, მაგრამ ყველაფერის თქმა ხომ არ შეიძლება. რუსეთის არმიის საქართველოს დაჯგუფების შტირლიცები თამამად შეიძლება პენსიაში გაყარონ მათმა უფროსობამ და ამით სამხედრო ხარჯები შეამციროონ.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც მალვა უნდა. კერძოდ, იმ ბატალიონების ჩამოთვლა, რომლებმაც ამა თუ იმ კონკრეტულ ბრძოლაში მიიღეს მონაწილეობა. ეს მტერს საშუალებას აძლევს საკმაოდ ზუსტად დააფიქსიროს ბატალიონის დანაკარგები და ამით უახლოეს მომავალში მისი ბრძოლისუნარიანობაც განსაზღვროს. დღეს საქართველოსათვის მნიშვნელობა არა აქვს ვინ რომელ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა, როცა ომს მოვიგებთ ყველას ღვაწლი და ნაკლი განისჯება ყველას თავისი მიეზღვება. შეიძლება ვინმე შემოგვედაოს, ასეთი ჩამოთვლა ჯარისკაცებისათვის მორალური წახალისების, სტიმულის მიცემის საშუალებაო. უკეთესი იქნებოდა სრულიად საქართველოს მტრის განადგურებული ტექნიკა, მისი დახოცილი ჯარისკაცები და ტყვეები ენახა, თანაც ისე რომ, მათი გამანადგურებლების სახელი და გვარიც იხსენიებოდეს. ამით ორ კურდღელს დავიჭერდით — ქართველი მეომარიც გამხნევდება და ის მითიც გაიფანტება ზოგიერთს რომ აწუხებს — რუსებთან ომის მოგება არ შეიძლებაო. შეიძლება თუ ყველა მოვინდომებთ და ყველაფერს სწორედ მოვიმოქმედებთ, შეიძლება ბრძოლაც და გამარჯვებაც.

მერაბ მაისურაძე

საქართველოს სახალხო ფრონტის ისტორიიდან

სახალხო ფრონტი საქართველოში გამართულ საარჩევნო კამპანიებში

(სქემატური მიმოხილვა)

საქართველოს სახალხო ფრონტი მონაწილეობდა უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში გამართულ ყველა საარჩევნო კამპანიაში.

1990 წლის 25 მარტისათვის საქართველოში დაინიშნა უზენაესი საბჭოს არჩევნები. ამ დროს სახალხო ფრონტი უკვე ოფიციალურად აღიარებული ორგანიზაცია იყო. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1989 წლის 14 აგვისტოს № 417 დადგენილებით რეგისტრაციაში გაატარა იგი. 25 მარტის არჩევნები არ შედგა იმის გამო, რომ მას ბოიკოტი გამოუცხადეს. სსფ-ს დამოკიდებულება არჩევნებისადმი არ იყო ცალსახა, რაც ორგანიზაციაში არსებულ უთანხმოებაზე მიგვანიშნებს.

1990 წლის 12 მარტის გაზეთ „საქართველოში" დაიბეჭდა სსფ თავმჯდომარის ნოდარ ნათაძის სტატია „ზურგში დანა შენიანს?" სადაც დამობილია 25 მარტის არჩევნების ბოიკოტის ტაქტიკა. კობა იმედაშვილის სტატიაში „ფრონტი და ფრონტი" საუბარია სსფ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. ავტორს შეცდომად მიაჩნია არჩევნების ბოიკოტისადმი მხარდაჭერა. ეს სტატია გამოქვეყნდა 1990 წლის 27 ივლისს, როცა არჩევნების ბოიკოტი უკვე მოხდარი ფაქტი იყო. 18 მარტს კი სსფ საგანგებო კონფერენციამ არსებითი სიტუაციიდან გამომდინარე პირდაპირ დააყენა 25 მარტის არჩევნების გაუქმების და უმოკლეს ვადაში (არა უგვიანეს სამი თვისა) ახალი არჩევნების დანიშვნის საკითხი. ასეთ გადაწყვეტილების მიღებას ხელი შეუწყო 1990 წლის 13—15 მარტს გამართულმა ეროვნულ-განთავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციამ. მისმა მონაწილეებმა აირჩიეს ეროვნული ფორუმი. ფორუმმა თავის თავზე აიღო ეროვნულ-განთავისუფლებელი მოძრაობის კოორდინაცია, მიზნად დასახა ეროვნული ყრილობის მოწვევა და საყოველთაო, დემოკრატიული, პირდაპირი და თანასწორი ფარული კენჭისყრის საფუძველზე გარდამავალი კოალიციური ოპოზიციური ხელისუფლების არჩევნების მოწყობა. ამ კონფერენციის მუშაობაში სსფ მონაწილეობდა და მხარი დაუჭირა მის გადაწყვეტილებებს.

მაისის თვეში ეროვნული ფორუმი უკვე გახლეფილი იყო. მასში შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციების ნაწილმა უარი თქვა ოკუპაციის პირობებში ხელისუფლებაში მოსვლაზე, მეორე ნაწილმა კი გადაწყვიტა მრავალპარტიული უზენაესი საბჭოს არჩევნებში მიეღო მონაწილეობა. მათ შორის იყო საქართველოს სახალხო ფრონტიც, რომელმაც 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში 11 დეპუტატი გაიყვანა.

28 ოქტომბრის არჩევნების მოსამზადებლად სახალხო ფრონტმა დიდი მუშაობა გასწია. აქტიურად მონაწილეობდა იგი საარჩევნო კანონპროექტების შემუშავებაში.

1990 წლის 13 აგვისტოს კინოს სახლში შეიკრიბნენ სსფ დარბაზის წევრები, უზენაესი საბჭოს დეპუტატები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მათ დადგინეს რომ საარჩევნო კანონის სამი პროექტიდან ქართველი ხალხის ინტერესებს ყველაზე უფრო შეესაბამება მეორე პროექტი. აღსანიშნავია, რომ სსფ-ს შიგნით ამ პერიოდშიც იჩინა თავი უთანხმოებებმა. არჩევნების წინ მას გამოეყო და ცალკე ორგანიზაციად ჩამოყალიბდა „საქართველოს ეროვნული ფრონტი რადიკალური კავშირი" (თავ-რე რუსლან ღონლაძე). 13 აგვისტოს ეს ორგანიზაცია „ირგვლივ მაგიდის" ბლოკში გაერთიანდა.

საქართველოს სახალხო ფრონტი აქტიურად ჩაება 1991 წლის 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმის ბოიკოტის კამპანიაში და მხარი დაუჭირა 31 მარტის რესპუბლიკური რეფერენდუმის ჩატარებას საქართველოს დამოკიდებლობის მოთხოვნით. სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომაზე. 1991 წლის 25 მარტს ნოდარ ნათაძემ განაცხადა, რომ სასურველია 31 მარტამდე შეწყდეს ყოველგვარი შინაპარტიული ბრძოლები, მოხდეს ეროვნული კონსოლიდაცია, რათა რეფერენდუმზე საქართველოს დამოუკიდებლობას ხმა მისცეს სრულად საქართველოს მოსახლეობამ.

1991 წლის 14 აპრილს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ და პრეზიდენტად გამოაცხადა ზვიად გამსახურდია. საყოველთაო-სახალხო არჩევნები დაინიშნა 26 მაისისათვის. 16 მაისს დამთავრდა პრეზიდენტობის კანდიდატთა რეგისტრაცია და გამოქვეყნდა მათი სია: ზ.გამსახურდია, ი.შენგელაია, ჯ.ჭიქელაძე, ვ.ადვაძე, თ.კვაჭანტირაძე, ნ.ნათაძე.

სამწუხაროდ საპრეზიდენტო არჩევნები მეტად რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდში მიმდინარეობდა არაკორექტულად, ეთიკის ნორმების დარღვევით. ნაცვლად ჯანსაღი კამათისა და პროგრამათა შედარებისა, საარჩევნო კამპანია პირად დაპირისპირებაში, ერთმანეთის ლანძღვაში გადაიზარდა. ასეთ ვითარებაში ფაქტიური პრეზიდენტის ზ.გამსახურდიას პოზიციები უფრო მყარი გამოდგა. დანარჩენ კანდიდატებს ი.გამარჯვების ბევრად უფრო ნაკლები შანსები აღმოაჩნდათ, თუმცა ფორმალურად, კანონის მიხედვით ისინი ერთნაირ პირობებში იყვნენ საყენებული, მაგრამ ეს კანონი ყოველთვის სათანადოდ ვერ სრულდებოდა.

პრეზიდენტობის კანდიდატი სახალხო ფრონტიდან ნოდარ ნათაძე, 1991 წლის 28 სექტემბერს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში წერდა: „გადაწყვეტილი მქონდა, რომ სახალხო ფრონტს, როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციას, საერთოდ არ მიეღო მონაწილეობა საპრეზიდენტო არჩევნებში. მხოლოდ დარბაზის წევრთა დაჟინებული მოთხოვნით წარვადგინე ჩემი კანდიდატურა და კიდევ იმ მოსაზრებით, რომ თუ ხალხის წინაშე დგება არჩევანი, არავის არ უნდა ჰქონდეს სათქმელი არავინ იყო ასარჩევი და იმიტომ ავირჩიე ესო".

ყველაზე დიდი წარმატება სახალხო ფრონტს წილად ხვდა 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებში. ურთულესი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე დაემუქრა ჩაშლის რეალური საფრთხე, არჩევნები ჩატარდა.

სახალხო ფრონტმა საარჩევნო კამპანიაში ჩართო დიდი ინტელექტუალური ძალები. არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს სისტემატურად აშუქებდნენ გაზეთები: „საქართველო", „ქართლი", „ბეგთარი", „მაჭახელა" და სხვ.

1992 წლის 14—15 აგვისტოს თბილისში მიმდინარეობდა სსფ მორიგი კონფერენცია. აქ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სსფ ამ არჩევნებში გამოსულიყო საარჩევნო ბლოკ „11 ოქტომბრის" შემადგენლობაში. სადაც შევიდნენ აგრეთვე ორგანიზაცია დას-ი (დემოკრატიული არჩევანი საქართველოსათვის); ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი; საქართველოს დემოკრატიული პარტია.

ბლოკ „11ოქტომბრის" წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იყო შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან. ეს შეხვედრა უნივერსიტეტის „პრესკლუბისა" და სტუდენტთა დრეობითი კავშირის ინიციატივით. გაიმართა.

სსფ-ს რეგიონულ პრესაში არჩევნების წინა პერიოდში ხშირად იბეჭდებოდა ბლოკ „11 ოქტომბრის" კანდიდატთა მხარდამჭერი სტატიები, დეპუტატობის კანდიდატების ბიოგრაფიები და სხვა. ფართოდ იყო რეკლამირებული „11 ოქტომბერი" საქართველოს ტელევიზიით. დეპუტატობის კანდიდატები და სსფ დარბაზის წევრები მართავდნენ შეხვედრებს ამომრჩევლებთან. რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში, ამის შედეგი იყო, რომ ბლოკის 18 წარმომადგენელი გახდა საქართველოს პარლამენტის წევრი. ესენია: დ.ბერძენიშვილი, ვ.ძაბირაძე, ა.ბობოხიძე, თ.გამყრელიძე, ზ.გოგია, რ.გოცირიძე, თ.დიასამიძე, კ.კიკაბიძე, პ.კოლუაშვილი, ა.მარშანია, ლ.მესხი, ნ.ნათაძე, გ.როგავა, ფ.საყვარელიძე, რ.შავიშვილი,ი.შენგელია, ი.ხაინდრავა, ვ.ხმალაძე.

1992 წლის 28 ოქტომბერს გამართული სსფ დარბაზის მორიგი სხდომა ძირითადად საპარლამენტო არჩევნების შედეგების განხილვას მიეძღვნა. დამსწრეთ გაცნეს სსფ საარჩევნო კომისიის ანგარიში, სადაც გაკეთდა მითითება საარჩევნო კანონის დარღვევის რამდენიმე ფაქტზე. ამ დარღვევათაგან არც ერთი არ ყოფილა ბლოკ „11 ოქტომბრის" სასარგებლოდ. საინტერესოა რომ თბილისში ამ ბლოკმა პირველი ადგილი დაიკავა. რაც შეეხება მის ძირითად კონკურენტს ბლოკ „მშვიდობას", მის წარმატებაში დიდ როლი შეასრულა არაქართული მოსახლეობის მხარდაჭერამ. (მაგ. ქვემო ქართლში მან დიდი უპირატესობით გაუსწრო ყველა დანარჩენ ბლოკსა და პარტიას).

სსფ დარბაზის ზემოხსენებულ სხდომაზე ნოდარ ნათაძემ აღნიშნა, რომ ეროვნულ ძალებს, ანუ იმათ, ვინც თავიდანვე მონაწილეობდა ეროვნულ მოძრაობაში, მოუწევთ ახალ პარლამენტში ცალკე ფრაქციის შექმნა, რომელმაც შეიძლება შეადგინოს დეპუტატთა საერთო რაოდენობის 1/3 და თუმცა ეს არ არის უმრავლესობა, მაგრამ საკმაოდ კმარა, რათა შეაჩეროს კონსტიტუციური ცვლილებები და სხვა მნიშვნელოვანი კანონპროექტი თუ ისინი შეეწინააღმდეგებიან საქართველოს ინტერესებს. ამ ფრაქციის ძირითად ამოცანად ნოდარ ნათაძეს „ეშშარიტების კონსტიტუცია" მიაჩნია. ამასთან ნაზი გაუსვა, რომ აუცილებელი არ არის ფრაქციის დაკომპლექტება პარტიული ნიშნის მიხედვით.

მამია დღვილავა

საქართველოს პარლამენტის დემოკრატული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

(გაგრძელება იქნება)

თავისუფლება... თავისუფალ ვაჭრობას

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როცა ფხიანი და გერგილიანი ადამიანებისათვის გზა ხსნილია ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, ბუნებრივია, ყველა მოაქალაქე ისწრაფვის გამდიდრებისკენ, კაპიტალის დაგროვებისაკენ და დღეს ეს არც არავის უკვირს.

სხვა საქმეა, თუ რა გზას ირჩევს მოაქალაქე ამ მიზნის მისაღწევად. ზოგნი, ოღონდ მიზანს მიაღწიონ და არავითარ საშუალებას არ თაკილობენ, ზოგნიც უფრო გონივრულ ხერხებს მიმართავენ, ზოგნიც ავტომატს იშველიებენ.

ავტომატი შემოხვევით არ მიხსენებია. ამას წინათ ერთ ახლობელს შევხვდი, რომელმაც ქალაქის ერთ-ერთ ხალხმრავალ ადგილას სავაჭრო ჯიხური გახსნა და შეუდგა ვაჭრობას. სავაჭრო ჯიხურები დღეს იმდენია ქალაქში, ალბათ ვერ დათვლი და ჩვენც, ამ საქმეში ნაუსედავს რიგითმა მოქალაქეებმა, ბევრი არაერთი ვუწყით იმ პრობლემების შესახებ, თავისუფალ ვაჭრობას რომ ახლავს თან.

არადა, ამ ჩემი ახლობლის თქმით, ყველა დარაღიანი, ფორმიანი თუ უფორმო, პირდაპირ შეტევაზე გადადის, რომ ჯიხურის გამყიდველს „შეაწეროს" საქონელი და ხშირად ისეთი დღეებიც კია თურმე, მოგებას როცა ზარალი აჭარბებს და მისი თქმით, ქალაქში ამას მახობრივი ხასიათი აქვს მიღებული.

სხვისი ჭირი ღობეს ჩხირია, ნათქვამია. აბა, დღეს ვის სცალია ჩვენში იმისთვის, რომ სავაჭრო ჯიხურის, ანუ თავისუფალი ვაჭრობის პრობლემები მიიტანოს გულთან და დღეანდელ პირობებში, როცა ქვეყანაში ომი მძვინვარებს, ამას ვერც ვერავის მოსთხოვ, მაგრამ იქნებ იმ კომპეტენტურმა ორგანოებმა, რომელთაც ევალებათ რესპუბლიკის ეკონომიკაზე ზრუნვა და წესრიგის დამყარება, მაინც იზრუნონ იმისათვის, რომ თავისუფალი ვაჭრობა მართლაც თავისუფალი იყოს ყოველგვარი „კანონიერი" თუ „უკანონო" რეკეტისაგან და ჩანასახშივე არ მოსპოს ქვეყნის განვითარების ეს ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტი — მცირე ბიზნესი.

სერგო ჯანაშია

„იბერია" კუპონს ემდურის

ჩვენში მომრავლებული კომერციული უმაღლესი სასწავლებლები დღეს არავის გვიკვირს და ბევრი აბიტურიენტიც ხალისით მიდის ამ სასწავლებელში. დიპლომის მისაღებად. მით უფრო, რომ ბევრგან არც გამოცდაა ჩასაბარებელი, არც გასაუბრება, შეიტანე, ბატონო, ფული და უკვე სტუდენტი ხარ.

ოღონდ ეგ არის, რომ ზოგან, კერძოდ, დამოუკიდებელ უნივერსიტეტში „იბერია", არ შეცდეთ და კუპონი არ მიიტანოთ. აქ კუპონზე სასტიკ უარს აცხადებენ, სამაგიეროდ დიდი ხალისით იღებენ რუსულ ფულს (მხოლოდ 1992—93 წ.წ. გამოშვებას) და რა თქმა უნდა, დოლარს.

ასი დოლარი წელიწადში ან ასოცი ათასი რუსული მანეთი და თქვენ უკვე სტუდენტი ხართ. ხოლო თუ მოახერხეთ და ხუთასი დოლარი მიიტანეთ ერთდროულად, მთელი ხუთი წლის განმავლობაში გადასახადისაგან თავისუფლდებით.

„იბერია" კომერციული უნივერსიტეტია და როგორც საბელმწიფოსაგან დამოუკიდებელი სტრუქტურა, უფლებამოსილია ისე იმოქმედოს, როგორც მის ინტერესებს შეეფერება — ურალოდ, გულსატკენი ისაა, რომ აღნიშნულ სასწავლებელში შემსვლელ ახალგაზრდებს სიმბოლურადაც კი არ ახდევინებენ სწავლის საფასურს ეროვნული ფულით, კუპონით, რითაც ძალაუნებურად აქედანვე უნერგავენ მათ იმ აზრს, რომ საკუთარი ფული (ანუ კუპონი) წყალ-წყალა ქაღალდია და არაფერში გამოსადეგი.

ესეც კუპონის განმტკიცების ერთი მაგალითი.

სერგო ჯანაშია

მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს

ზურაბ გურჩიანი

5 ივლისს დაიღუპა კამანთან. ზურაბი ბაგრატიონის ასეულში მოხალისედ ჩაეწერა. ეს ასეული კამანის ბატალიონის დამხმარე ძალად დადგა, მაგრამ დესანტის გადმოსხმასთან დაკავშირებულ გააფთრებულ ბრძოლებში მრავალ მებრძოლს ნაუქრა მზე.

მტერი ღამის სამ საათზე დაესხათ თავს. ზურაბ გურჩიანმა ტყვიამფრქვევით ბევრი მოცელა, მაგრამ ჩვენი პოზიციები თანდათანობით დადუმდა.

დილის ხუთის ნახევარზე ზურაბ გურჩიანი ორივე ფეხში დაჭრეს. მას სიარული აღარ შეეძლო, მაგრამ ბრძოლას 5 საათის განმავლობაში კვლავ აგრძელებდა.

დაღუპულ ბიჭებს შორის მათ პოსტზე ცოცხალი ორიღა დარჩა ზურაბ გურჩიანი და მისი მეგობარი ვახტანგ ჩხეტიანი. ვახტანგმა ბრძოლის ველიდან მეგობრის ზურგით გამოყვანა მოინდომა. მტერი მათ უკვე უახლოვდებოდათ. მძიმედ დაჭრილმა მეგობარი იარაღით აიძულა გასცლოდა. მხოლოდ სთხოვა, კიდევ ერთი ავტომატი აელო მოცელილი მეგობრისა და დაეტოვებინა მისთვის. დაიტოვა რამდენიმე ხელყუმბარაც.

მომხდურებთან ბოლომდე იბრძოდა ვიდრე სისხლისაგან არ დაიცალა და აღუესრულა. მისი გვამი ჯერ ნაპოვნი არ არის. 22 ჩახოცილი სვანის სია ერთმა მანდილოსანმა გამოიტანა.

მარადიული ხსოვნა ზურაბ გურჩიანისა და ჩვენი გმირი მებრძოლებისა.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული

შემნახველი ბანკი

რომელსაც დამყარებული აქვს საკორესპონდენტო ურთიერთობები მსოფლიოს უდიდეს საბანკო სისტემებთან პარიზში, ფრანკფურტში, ნიუ-ორკში, მოსკოვში და ა.შ. იურიდიული და ფიზიკური პირების დაკვეთით აწარმოებს საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებულ ყველა სავალუტო ოპერაციებს, შეისყიდის მოსახლეობისაგან ვალუტას და გასცემს სავალუტო კრედიტებს.

შემნახველი ბანკის სისტემას ყველაზე ფართო საბანკო ქსელი აქვს საქართველოში და შეუძლია მომსახურეობა გაუწიოს თავის კლიენტებს მათთვის სასურველ ქალაქსა და რაიონში, ამიტომ უცხოური ბანკებიც დიდ დაინტერესებას იჩენენ საქართველოს შემნახველ ბანკთან ურთიერთობების დამყარებაში.

შემნახველი ბანკი იურიდიულ და ფიზიკურ პირებს სავალუტო ანგარიშებს უხსნის უფასოდ. გარდა ამისა, კლიენტის სასარგებლოდ, ავტომატურად არიცხავს მინიმალურად 8 პროცენტს სავალუტო ანგარიშის ლიმიტს ზევით დარჩენილ ნაშთზე. კონკრეტული ხელშეკრულების დადების შემთხვევაში ეს პროცენტი შეიძლება რამოდენიმეჯერ გაიზარდოს.

საკომისიო გასამრჯელო შემნახველი ბანკის მიერ წარმოებულ ოპერაციებზე მინიმალურია. ამის საშუალებას იძლევა ფართო ქსელი და საფინანსო ოპერაციების დიდი მასშტაბები.

შემნახველი ბანკი აგრძელებს სავალუტო ანაბრების მიღებას მოსახლეობისაგან.

საქართველოს სავალუტო-—საკრედიტო ბაზარზე არსებულმა მაღალმა მოთხოვნილებამ საშუალება მისცა **შემნახველ ბანკს** დროებით, 1993 წლის ბოლომდე, ანაბრების შემტანთათვის დაეწესებინა სპეციალური გაზრდილი საპროცენტო განაკვეთები:

მოთხოვნამდე ანაბარზე დაერიცხება წლიურად 5 პროცენტი, ვადიან ანაბარზე შესაბამისად:

— ერთი წლით 10 პროცენტი

სამი წლით 15 პროცენტი

ხუთი წლით 20 პროცენტი

ეს პირობები გავრცელდება 1993 წელს შეტანილ ყველა ანაბარზე. ანაბრებს ავტომატურად ერიცხება რთული პროცენტები და საანაბრო თანხის ზრდა პროგრესულად ხდება. მაგალითად, ხუთწლიანი ანაბრის ბოლო წელს ანაბარზე შეტანილი ვალუტა ნაცვლად ორისა, ორნახევარჯერ გაიზრდება.

იჩქარეთ, სანამ საკრედიტო ბაზარზე კონიუნქტურა შეიცვლებოდეს!

იზრუნეთ თქვენი შვილებისა და შვილიშვილების მომავალზე!

ერიდეთ შემთხვევით პირებს, შუამავლებს, საეჭვო ორგანიზაციებს და

ისარგებლეთ შემნახველი ბანკის საიმედო მომსახურებით!

შემნახველი ბანკი გარანტიას აძლევს კლიენტურას წარმოებული ოპერაციების კანონიერებასა და საიდუმლოებაზე, სავალუტო სახსრების დაცულობასა და მათ გაცემაზე პირველივე მოთხოვნისთანავე.

ჩვენი მისამართია: დ. უზნაძის ქ.37, თბილისი 380002

ტელ: 93—12—01, 99—95—62

ფაქსი: 95—60—85

ტელექსი: 212396 GSB SU

მთავარი რედაქტორი

ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო

თენგიზ გოგოტიშვილი

ჯემალ კასრაძე

მერაბ მაისურაძე

სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:

თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელ:

რედაქტორი: 93-20-36,

მოადგილე: 93-18-41.

პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 60 კაპიკი